პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 92 (5642)

1976 წ. 12 მაისი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფსაბჭოში

ვინც უკეთ იმუშავა...

საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა შარშან მასობრივ-ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გარკვეული წარმატებები მოიპოვეს.

მშრომელთა და მოსწავლე-ახალგაზრდობას შორის სპორტსაზოგადოებების საბჭოებისა და პროფკავშირთა დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტების მუშაობის მაღალმა დონემ განაპირობა, რომ შარშან სპორტსაზოგადოებების წევრთა რიცხვი რესპუბლიკაში 743906-მდე გაიზარდა, ფიზკულტურელთა რაოდენობა კი — 678337-მდე. იმატა მაღალი თანრიგების სპორტსმენთა რიცხვმა, მომზადდა 6 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, გადაჭარბებით შესრულდა სპორტის ოსტატთა მომზადების გეგმა-ვალდებულებანი. რესპუბლიკის პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებებში 134-ის მაგიერ მომზადდა 165 სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, 370-ის ნაცვლად — 651 სპორტის ოსტატობის კანდიდატი.

დიდი გადაჭარბებით შესრულდა მასობრივი თანრიგების სპორტსმენთა მომზადების გეგმებიც: 121480-ის მაგიერ — 126000.

მაღალი მაჩვენებლებია მოპოვებული მშძ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადებაშიც. გეგმით გათვალისწინებულ 109800-ის მაგიერ ყველა საფეხურის ნორმატივები 121094 ფიზკულტურელმა ჩააბარა, გეგმის გადაჭარბებით მომზადდა ასობით საზოგადოებრივი მუშაკი — მსაჯები, მწვრთნელები და ინსტრუქტორები.

რესპუბლიკის მშრომელთა და მოსწავლე-ახალგაზრდობას შორის მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისთვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს „განთიადის" ცენტრალურმა, „სპარტაკისა" და „ვოდნიკის" რესპუბლიკურმა საბჭოებმა, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და დამზადების, საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტებმა.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა სპორტსაზოგადოებების საბჭოებისა და პროფკავშირების დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტების შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნო: სპორტსაზოგადოებების ჯგუფში — „განთიადის" ცენტრალური საბჭო (თავმჯდომარე ბ. გიორგობიანი), პროფკავშირის დარგობრივი კომიტეტების ჯგუფში — საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი (თავმჯდომარე ნ. ლაკია). გამარჯვებულნი დაჯილდოვდნენ საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშებით, საპატიო სიგელებითა და 200-200 მანეთით.

II ადგილები მიეკუთვნათ, საპატიო სიგელებითა და ვიმპელებით დაჯილდოვდნენ: „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭო (ა. კორინთელი) და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი (ვ. ქავაძე).

III ადგილებზე გავიდნენ „ვოდნიკის" რესპუბლიკური საბჭო (გ. იორაიშვილი) და საზღვაო და სამდინარო ფლოტის პროფკავშირის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტი (გ. უნაფქოშვილი), რომლებსაც, აგრეთვე, საპატიო სიგელები და ვიმპელები გადაეცათ.

აღნიშნული სპორტსაზოგადოებებისა და კომიტეტების თავმჯდომარეები სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ორგანიზაციების უნარიანი ხელმძღვანელობისთვის საქართველოს პროფსაბჭომ საპატიო სიგელებით დააჯილდოვა.

გამოცდა კროსში

რიაზანი, 10 მაისი. (საკდესის კორ. ა. ტროფიმოვი). ესტონეთის სპორტსმენებმა პირველად მოიპოვეს გუნდური გამარჯვება რიაზანის საკავშირო ავტოკროსში, რომელშიც მონაწილეობდნენ დიდი ტევადობის, ყველგან მავალი მანქანები.

კროსის ტრასა, რომელიც სპეციალისტებმა რთულად მიიჩნიეს, შოფრებს ძალიან მოეწონათ. სარბიელზე გამოვიდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის 25 ქალაქის 200-ზე მეტი მრბოლელი. ბრძოლას აძნელებდა თითქმის განუწყვეტელი წვიმა. მოსკოვის, გორკისა და ულიანოვსკის ავტოქარხნების მანქანების შეჯიბრებაში გაიმარჯვეს: გაზ-69-ით — ლ. ბკიმენკომ (შეიარაღებული ძალები), გაზ-51-ით — ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონმა, მოსკოველმა, „სახკინოს" ავტობაზის შოფერმა ვ. იაშჩენკომ, გაზ-53-ით — კურგანელმა სპორტსმენმა-შოფერმა ვ. მოსინმა, ზილ-130-ით — კიდევ ერთმა მოსკოველმა შოფერმა ა. სიდოროვმა.

სამშობლოს მაღალი ჯილდოები

ინსბრუკის XII „თეთრ ოლიმპიადაში" წარმატებით გამოსვლასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამა წლის 10 მაისის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა სპორტსმენთა, მწვრთნელთა, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა დიდი ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოვდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. როდნინა (მოსკოვი).

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულთა შორის არიან სპორტის დამსახურებული ოსტატები ტ. ავერინა (გორკი), ლ. პახომოვა, ა. გორშკოვი (ორივე — მოსკოვი), ა. ტიხონოვი (ნოვოსიბირსკი), სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. ჩაიკოვსკაია (მოსკოვი), სულ 10 კაცი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებულია 24 კაცი. **მედლით „შრომითი მამაცობისთვის"** — 20, **მედლით „შრომითი წარჩინებისთვის"** — 19 კაცი, მათ შორის ბაკურიანის სპორტნაგებობათა კომბინატის დირექტორი შ. ოგანეზოვი.

თბილისის უნივერსიტეტში დამთავრდა სტუდენტური დღეების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები, რომლებმაც სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა, თანამშრომელთა და სტუმართა დიდი ინტერესი გამოიწვია.

პროგრამაში შემავალ ღონისძიებათა ორგანიზებულად ჩატარებამ ერთხელ კიდევ ცხადყო უნივერსიტეტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრისა და სპორტული კლუბის გულმოდგინე მუშაობა. ღია მოედნებზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მძლეოსნები, მოჭიდავეები, მოკრივეები, დარბაზებში სხვადასხვა ფაკულტეტის კალათბურთელები, ფრენბურთელები, მოჭადრაკეები და მოშაშეები ასპარეზობდნენ.

როგორც ამას წინათ ვიუწყებოდით, ქართულ ჭიდაობაში 64 კგ წონით კატეგორიაში I ადგილი დაიკავა რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონმა, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა დ. ჯუგაშვილმა.

* * *

სურათებზე: დ. ჯუგაშვილისა და გ. ძლიერიშვილის შეხვედრის მომენტი; მოკრივეთა ფინალური ორთაბრძოლა. —

ჭ. არაბულის ტექსტი და ფოტოები.

29 COURSE DE LA PAIX '76

PWB

გორელოვი ლიდერობას ინარჩუნებს

გოტვალდოვი, 10 მაისი. უქარო, ცხელ ამინდში ჩატარდა დღეს მშვიდობის XXIX ველორბოლის III ეტაპი (ლიტომიშლი — გოტვალდოვი), რომლის სიგრძეც 165 კილომეტრი იყო. მოასპარეზეები უმეტესად ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ, მაგრამ საშუალედო ფინიშებთან მწვავე ბრძოლას აჩაღებდნენ. მრბოლელთა სიჩქარე საათში 50 კილომეტრს აღწევდა, დაღმართებში კი — 80-ს.

გოტვალდოვის სტადიონის ბილიკზე ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა ცნობილმა პოლონელმა ველოსიპედისტმა ს. შოზდამ. მეორე იყო წინა ეტაპზე გამარჯვებული ა. ბარტონიჩეკი (ჩეხოსლოვაკია), მაგრამ „პროლოგისა" და ორი ეტაპის ჯამში ლიდერობა შეინარჩუნა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ნ. გორელოვმა, რომელმაც დღეს III ადგილი დაიკავა.

● **გრანზეე, 10 მაისი.** გდრ-ის ამ დაბაში დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება წყალქვეშ ორიენტირებაში შტეჰლინზეეს თასზე. საერთო I ადგილი და საპატიო ჯილდო სსრ კავშირის გუნდმა მოიპოვა. II ადგილზეა მასპინძელი ქვეყნის ნაკრები, ხოლო III — ჩეხოსლოვაკიის კოლექტივი. საბჭოთა სპორტის ღირსებას იცავდნენ ლ. ლიტვინა, ნ. სალმინა, ს. ვალოვა, ა. სალმინი, პ. ალექსეევი, ვ. ზაგოზინი, ვ. ლიხაჩოვი და ვ. იონოვი. 10 გათამაშებული ოქროს მედლიდან 8 საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ. აბსოლუტური გამარჯვებულები არიან ლიტვინა და მსოფლიო ჩემპიონი სალმინი (ორივე — ნოვოსიბირსკი).

● **შჩეცინი, 10 მაისი.** პოლონეთის ამ ქალაქში გაიმართა მოტოკროსმენთა მსოფლიო ჩემპიონატის IV ეტაპი „250-ანების" კლასში. გაიმარჯვა ტ. ჰანსენმა (შვეცია). მეორე იყო ჯ. პომეროი (აშშ), ხოლო მესამე — კიეველი ვ. კავინოვი. ყველა ეტაპის ჯამში დაწინაურდა ფინელი ჰ. მიკოლა — 82 ქულა (საინტერესოა აღინიშნოს, რომ მიკოლა 1974 წელს მსოფლიო ჩემპიონი იყო „500-ანების" კლასში). II ადგილზე მყოფ ჰანსენს 74 ქულა აქვს, III ადგილზეა პომეროი — 54. კავინოვმა VI ადგილიდან მეოთხეზე გადაინაცვლა. მას 48 ქულა დაუგროვდა. 16 მაისს ამ კლასში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი ლვოვში იასპარეზებენ.

● **ბონი, 10 მაისი.** „ბონის ლომის" პრიზზე მოფარიკავეთა აქ გამართული საერთაშორისო ტურნირი ე. სენ-გორიუსმა მოიგო. ამ დასავლეთგერმანელ რაპირისტს მთავარი პრიზი ხვდა. მინსკელმა ა. რომანკოვმა II ადგილი დაიკავა, ბრინჯაოს ჯილდო კი თ. ბახმა (გფრ) მოიპოვა. ფინალში მოასპარეზე მეორე საბჭოთა მოფარიკავე, ლვოველი ვ. სტანკოვიჩი V ადგილზე გავიდა.

● **მიულუზი, 10 მაისი.** საფრანგეთის ამ ქალაქის აუზში გამართულ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში საბჭოთა მოცურავე ქალებმა სამი გამარჯვება მოიპოვეს. მოსკოველმა მ. კოშევაიამ 200 მეტრზე ბრასით წლევანდელ მსოფლიოში საუკეთესო შედეგით აჯობა ყველას — 2.40,01. II ადგილი დაიკავა ოდესელმა მ. იურჩენიამ (2.41,02), ხოლო III — კრასნოდარელმა ლ. რუსანოვამ (2.41,49). 100 მეტრზე ბატერფლაით ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდა ლენინგრადელი თ. შელოფასტოვა — 1.05,00. ინგლისელი ს. ჯენერი გამარჯვებულს 0,28 წამით ჩამორჩა. ივანოვოელი ი. ვლასოვა საუკეთესო იყო 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 4.26,96. მან ცნობილ ჰოლანდიელ სპორტსმენს ე. ბრიგიტას აჯობა (4.29,22). ტურნირის სხვა მონაწილეთაგან განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გფრ-ის წარმომადგენლებმა ანგელა გრისემ (100 მ გულაღმა — 1.07,19) და კლაუს შტაინბახმა (100 მ თავისუფალი სტილით — 53,58, 100 მ გულაღმა — 1.01,59, 100 მ ბატერფლაით — 59,98).

● **ედინბურგი, 10 მაისი.** მონრეალის ოლიმპიადისთვის კალათბურთელ გუნდების აქ გამართული შესარჩევი ტურნირი მოულოდნელი შედეგით დამთავრდა: გადამწყვეტ მატჩში იტალიელებმა ანგარიშით 84:79 სძლიეს ევროპის ჩემპიონს — იუგოსლავიის ნაკრებს და მონრეალში გასამგზავრებელი ერთადერთი საგზური მოიპოვეს. იუგოსლაველები II ადგილზე დარჩნენ. III ადგილი დაიკავა პოლონეთის ნაკრებმა. ხელმოცარული კოლექტივები ახლა კიდევ ერთ შესარჩევ ტურნირში ითამაშებენ, რომელიც კანადის ქალაქ ჰამილტონში გაიმართება ოლიმპიადის წინ.

[illegible]-76

[illegible]

დამატებითი შეჯიბრების შემდეგ

როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, ინგლისის ქალაქ დორჩესტერში საბჭოთა მესტენდურეებმა ადგილიდან სროლაში დიდად ვერ გამოიჩინეს თავი. ამ სახეობაში გამარჯვებულმა ელადიო ვალდუვიმ (ესპანეთი) I ადგილი ფრანგ ემილ ბლონდეუსთან დამატებითი შეჯიბრების შემდეგ მოიპოვა, ვინაიდან ფრანგ მესტენდურესაც 196 ქულა ჰქონდა.

ბრინჯაოს მედალი მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონს მიშელ კარეგას (საფრანგეთი) ხვდა — 194 ქულა.

ესპანელ მსროლელთა შემდეგ გუნდურ ჩათვლაში ვერცხლის ჯილდოები საფრანგეთის წარმომადგენლებმა მოიხვეჭეს (371 ქულა), ხოლო ბრინჯაოსი — იტალიელებმა (370).

19 45

◆ ზოლინგენი, 11 მაისი. ჭადრაკში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გაიმარჯვა... ორმა გუნდმა: „ბურევესტნიკმა". (სსრ კავშირი) და „ზოლინგერ შახგეზელშაფტ 1868"-მ (გფრ). სწორედ ისინი შეხვდნენ აქ გამართულ ფინალურ მატჩში ერთმანეთს, მაგრამ სამტურიანი შეჯიბრების შემდეგ დაზავდნენ — 9:9. I ტური მასპინძლებმა მოიგეს — 3,5:2,5, II ტურში კი სტუმრებმა ასეთივე ანგარიშით რევანში აიღეს. III ტური ყაიმით დამთავრდა — 3:3. როგორც ფინალის მთავარმა არბიტრმა ტ. ფლორიანმა (უნგრეთი) განაცხადა, „ორივე გუნდს თავი თასის მფლობელად შეუძლია ჩათვალოს". „ბურევესტნიკს" მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი თავკაცობდა, მასპინძელთა გუნდს კი — დიდოსტატი რ. ჰიუბნერი, თანაც „მის" ნაკრებში რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ, რაც ზოლინგენის საჭადრაკო კლუბის წესდებით ნებადართულია.

ჭ ა დ რ ა კ ი

[illegible]

დრეზდენი, 9 მაისი. აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში გდრ-ის მძლეოსანმა ა. ფოიგტმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა სიგრძეზე ხტომაში — 692 სმ. ეს შედეგი 8 სანტიმეტრით სჯობს ჰ. როზენდალის (გდრ) ძველ რეკორდს.

სამედიცინო გამოკვლევების საფუძველზე...

ცნობილია, რაოდენ მრავალმხრივია თანამედროვე სპორტსმენის მომზადება — ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ტექნიკური და ტაქტიკური. ამათგან ფიზიკური მომზადება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და დაკავშირებულია დიდი მოცულობის კუნთურ მუშაობასთან. მაგრამ იმისთვის, რომ სპორტსმენმა მიაღწიოს სპორტის ამა თუ იმ სახეობისთვის საჭირო ყოველმხრივ ფიზიკურ მომზადებას (განავითაროს ძალა, სისწრაფე, გამძლეობა, მოქნილობა და სხვ.), პირველ ყოვლისა აუცილებელია მისი ორგანიზმის ფიზიკური მდგომარეობის სწორად შეფასება. საექიმო შემოწმების დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანის ორგანიზმის მდგომარეობას სამი მხარე ასახავს. პირველი — ესაა ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც მარტივი განმარტებით ორგანოთა და სისტემათა ნორმალურ (ფიზიოლოგიურ) მუშაობას გულისხმობს. მეორე მხარეა ფიზიკური განვითარება (მორფოლოგიური სტატუსი), მესამე — ორგანიზმის ფიზიკური მდგომარეობა, ფიზიკური მომზადება. მართალია, მათ შორის მჭიდრო კავშირია, მაგრამ შეიძლება ეს ურთიერთდამოკიდებულება დაირღვეს იმით, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო მოხდეს ფიზიკური მდგომარეობის ერთ-ერთი მხარის ნორმიდან გადახრა. პრაქტიკულად ჯანმრთელი შეიძლება ფიზიკურად კარგად განვითარებული ან კარგად მომზადებული არ იყოს და პირიქით.

აღნიშნული ფაქტის მხედველობაში მიღებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სპორტული წვრთნის დროს, ვინაიდან ფიზიკური დატვირთვის განაწილება სპორტსმენის ორგანიზმის ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით ხდება.

ჩვეულებრივ, სპორტსმენის ორგანიზმის ფიზიკური მდგომარეობის ყოველმხრივი შესწავლა საექიმო ფიზკულტურის დისპანსერებში ხდება, როცა ტარდება გაღრმავებული და კომპლექსური საექიმო შემოწმება. მიღებული მონაცემების სწორად შეფასებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს დისპანსერულ მეთვალყურეობას, რომლის ერთ-ერთ მხარედაც ითვლება საპატრონაჟო სისტემის მუშაობა, რასაც, სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის საექიმო-ფიზკულტურის დისპანსერებში ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება.

ბევრი მწვრთნელი ექიმისგან მოითხოვს გადამჭრელ პასუხს — გაწვრთნილია თუ არა სპორტსმენი? მართალია, ჯერ კიდევ ასხვავებენ საერთო და სპეციალურ გაწვრთნილობას, მაგრამ თანამედროვე სპორტისთვის, ვფიქრობთ, ასეთი კლასიფიკაცია მიზანშეწონილი არ უნდა იყოს. სპორტსმენი გაწვრთნილია მაშინ, როცა ყოველმხრივ მომზადებულია ამა თუ იმ სახეობისთვის და სტაბილურად მაღალ შედეგებს აღწევს. ეს კი ობიექტურად მხოლოდ კომპლექსურად — მწვრთნელის, ექიმის, ფსიქოლოგისა და ფიზიოლოგის ერთობლივი გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს.

მრავალი წლის მანძილზე სამედიცინო დაკვირვებათა საფუძველზე დავადგინეთ, რომ სპორტსმენის ორგანიზმის ცალკეულ ფიზიოლოგიურ სისტემათა ფუნქციურ მაჩვენებლებსა და სპორტულ კვალიფიკაციას (შედეგს) შორის ხშირად შეიძლება არ არსებობდეს პირდაპირი ურთიერთდამოკიდებულება. მაღალი ფუნქციური მაჩვენებლების მქონე სპორტსმენის შედეგი შეიძლება დაბალი იყოს და პირიქით. ეს ფაქტი განპირობებულია იმით, რომ სპორტული შედეგი ფიზიკური შრომისუნარიანობის (ფიზიკური მომზადების) გარდა ბევრადაა დამოკიდებული ტექნიკურ, ტაქტიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებაზე, რის დადგენაც სპორტსმენის საექიმო შემოწმების დროს შეუძლებელია.

ამგვარად, საექიმო კაბინეტსა თუ ლაბორატორიაში პრაქტიკულად სპორტსმენის გაწვრთნილობის დიაგნოზის დასმა არ ხერხდება. საექიმო ფიზკულტურის დისპანსერში გამორკვეული მონაცემები აუცილებლად უნდა შეივსოს ეგრეთ წოდებულ საექიმო-პედაგოგიური მეთვალყურეობის გზით, ჩატარებული დაკვირვებით, რასაც სადღეისოდ ნაკრები გუნდების ექიმები სათანადო სიმაღლეზე ვერ აკეთებენ. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ისინი არ არიან უზრუნველყოფილი თანამედროვე ფიზიოლოგიური კვლევისთვის საჭირო ხელსაწყოებით, ურომლისოდაც შეუძლებელია უშუალოდ წვრთნისა და შეჯიბრების დროს სპორტსმენის ორგანიზმის მიერ კუნთური მუშაობის მიმართ გამოვლენილი რეაქციის (ადაპტაციის) შესწავლა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საექიმო-პედაგოგიური მეთვალყურეობა დღევანდელ შესაძლებლობათა ფარგლებში ნაკრებ გუნდებში უფრო სისტემატური უნდა იყოს, ვინაიდან ამ გზით მიღებული ინფორმაცია მეტად დიდ დახმარებას გაუწევს მწვრთნელს წვრთნის რეგულირების საკითხის სწორად გადაწყვეტაში.

ისმის კითხვა: ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში ყველა რაიონშია თუ არა შესაძლებელი კვალიფიციურ სპორტსმენთა გაღრმავებული საექიმო შემოწმება? რასაკვირველია, არა, ვინაიდან შედარებით კარგად აღჭურვილი საექიმო ფიზკულტურის დისპანსერები, გარდა თბილისისა, გვაქვს მხოლოდ სოხუმსა და ბათუმში. ეს, რასაკვირველია, არ კმარა ყველა კვალიფიციური სპორტსმენის საექიმო შემოწმებისთვის.

ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი რესპუბლიკის პირველი და მეორე ჯგუფების ფეხბურთელთა გუნდები. მათი უმრავლესობა ხომ ფაქტიურად მხოლოდ ზერელე შემოწმებას გადის, რაც მწვრთნელებს საშუალებას არ აძლევს წვრთნის დროს მაქსიმალური ფიზიკური დატვირთვა უფრო თამამად გამოიყენონ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ, როგორც რესპუბლიკის ფეხბურთელთა მოწინავე კოლექტივები, ისე სპორტის სხვა სახეობათა გუნდების წევრები, დაწესებულ ვადებში ორგანიზებულად უნდა გადიოდნენ საექიმო შემოწმებას მსხვილ საექიმო ფიზკულტურის დისპანსერებში, რაც, სამწუხაროდ, პრაქტიკულად მუდამ არ ხორციელდება.

სამედიცინო გამოკვლევების საფუძველზე მწვრთნელებმა საგრძნობლად უნდა გაზარდონ წვრთნის დროს სპორტსმენთა ფიზიკური დატვირთვა. სწორედ არასათანადო საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადება ითვლება დღეს აქილევსის ქუსლად ჩვენი სპორტსმენებისთვის. მათი ვარჯიში საერთო ფიზიკურ მომზადებაში (მაგალითად, სირბილი) ხშირად კუს ტბაზე ჯანმრთელობის ჯგუფების მეცადინეობას უფრო მოგვაგონებს, რომელთა რიგებშიც უმრავლესობას გულსისხლძარღვთა სისტემა დაავადებული აქვს. დღეს იშვიათია შემთხვევა, როცა ფიზიკური ვარჯიშის დროს სპორტსმენის გულისცემის სიხშირე წუთში 160-180-ს უდრის. არადა, ცნობილია, რომ მხოლოდ გულისცემის ასეთი სიხშირის შემთხვევაში ხდება შესაძლებელი სპორტსმენის გავარჯიშება.

სწორედ ეს მოწმობს, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს სათანადო კავშირი სპორტსა და სპორტულ მედიცინას შორის, რაზეც ბევრადაა დამოკიდებული სპორტსმენის დაოსტატება. დროა სისტემატურად ტარდებოდეს სპორტის ცალკეული სახეობების მიხედვით ლექცია-სემინარები მწვრთნელებისა და ექიმებისთვის, რაც მათი ერთობლივი მუშაობის საწინდარი გახდება.

რესპუბლიკის ნაკრები გუნდების სათანადო სამედიცინო მომსახურებისთვის მიზანშეწონილია შეიქმნას სპორტული მედიცინის ცენტრი. იგი გააერთიანებს თბილისის № 1 საექიმო ფიზკულტურის დისპანსერს, საექიმო ფიზკულტურის რესპუბლიკურ დისპანსერთან არსებულ ნაკრები გუნდების განყოფილებას, სპორტულ ბაზებზე მომუშავე სამედიცინო პერსონალს, ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული მედიცინისა და ჰიგიენის კათედრას და ამავე ინსტიტუტში არსებულ სარეაბილიტაციო ცენტრს. მაგრამ სპორტული მედიცინის ცენტრისთვის აუცილებელია ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში სპორტული მედიცინის სექტორის ან ლაბორატორიის შექმნაც, რომელიც ფაქტიურად ჩვენს რესპუბლიკაში ამ დარგის მთავარ კერად უნდა გადაიქცეს.

სპორტული მედიცინის ცენტრში პირველ ხანებში საკმარისია ერთი შტატის მუშაკიც. ცენტრის მთელ საქმიანობას ძირითადად უნდა წარმართავდეს მეთოდური საბჭო, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საექიმო ფიზკულტურის მოწინავე სპეციალისტები.

რესპუბლიკის სპორტკომიტეტის სისტემაში ჩვენ არაერთხელ გამოვთქვით აზრი სპორტული მედიცინის ცენტრის შექმნის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საკითხი განსახილველად დღემდე არავის დაუყენებია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და სხვა შესაბამისი ორგანოები წლების განმავლობაში ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ საექიმო ფიზკულტურის დარგის უზრუნველყოფას როგორც კადრებით, ისე ბაზებით. ბოლო წლებში თითქოს წინსვლა იგრძნობა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია, როცა საექიმო ფიზკულტურის დარგში მნიშვნელოვანი საკითხები ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა თუ სპორტკომიტეტში საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის სამეცნიერო-სამედიცინო საზოგადოების გამგეობის, ამ დარგის მთავარი სპეციალისტებისა და საექიმო ფიზკულტურის დისპანსერთა მთავარი ექიმების გარეშე წყდება. სამეცნიერო საზოგადოება, რომლის გამგეობაში საექიმო ფიზკულტურის მოწინავე სპეციალისტები შედიან, ამ დარგში მთავარი საზოგადოებრივი საკონსულტაციო ორგანოა. ამიტომ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი ამ საზოგადოებასთან შეთანხმებით და მისი რეკომენდაციით უნდა გადაწყდეს.

ჩვენს რესპუბლიკას აკლია როგორც სპორტული მედიცინის, ისე სამკურნალო ფიზკულტურის (რეაბილიტაციის) სპეციალისტები. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტთან შეიქმნას სპორტული მედიცინის და სამკურნალო ფიზკულტურის ერთი აკადემიური ჯგუფი (20-25 კაცის შემადგენლობით). გარდა სამედიცინო დისციპლინებისა, აქ უნდა ასწავლიდნენ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს. მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტები, გარდა თეორიული საგნებისა, გამოცდებს უნდა აბარებდნენ საერთო ფიზიკურ მომზადებაში. ასეთი ჯგუფი დიდი ხანია შექმნილია ტარტუს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე.

X ხუთწლედი ხარისხის ხუთწლედია, სპორტში კი ხარისხი მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადებას გულისხმობს. ამავე დროს წლევანდელი წელი ოლიმპიური თამაშების წელია. ჩვენი უპირველესი საზრუნავია, რაც შეიძლება მეტი სპორტსმენი გვყავდეს ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში. ყველა ზემოაღნიშნული ამოცანის პრაქტიკულად განხორციელება დიდადაა დამოკიდებული სპორტსმენთა კვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებაზე. ამ საკითხს დროულად უნდა მიაქციონ ყურადღება რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და სპორტკომიტეტმა.

რ. ხვანიშვილი,
რესპუბლიკის საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის სამეცნიერო-სამედიცინო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე.

ორი ლალი და მათი მეგობრები

თხუთმეტ წელიწადზე მეტია, რაც პრესაში საქართველოში მხატვრული ტანვარჯიშის განვითარების მიმართ გულგრილ დამოკიდებულებაზე იწერება. თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარებულმა რესპუბლიკის პირად-გუნდურმა პირველობამ კიდევ ერთხელ ცხადყო უყურადღებობა ჩვენში მხატვრული ტანვარჯიშის განვითარებისადმი (გამონაკლისია მხოლოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო). სპეციალისტთა და ჟურნალისტთა მრავალი ცდა, რომ სათანადო ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება მიაქციონ მხატვრული ტანვარჯიშის ფართოდ დანერგვას, ისევ და ისევ ამაო ღაღადისად რჩება.

ასპარეზობაში მონაწილეობდა სულ ექვსი კოლექტივი: თბილისის I და II, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისისა და რუსთავის გუნდები.

როგორც მოსალოდნელი იყო, გუნდურ ჩათვლაში თავიდანვე დაწინაურდნენ თბილისის პირველი ნაკრების წარმომადგენლები ლ. დოლიძე (უფროსი), მ. ყარსიმაშვილი, ლ. დოლიძე (უმცროსი), ბ. სისაური, ი. გაბაშვილი და მ. მორბედაძე, რომლებმაც საბოლოოდ 244,31 ქულა დააგროვეს და გაიმარჯვეს.

II ადგილი დაიკავა თბილისის მეორე გუნდმა (ლ. გოცირიძე, ტ. დოლგოვა, მ. გალუაშვილი, ე. ლომკაცი, მ. სულხანიშვილი, ნ. გამთენაძე) — 223,8 ქულა.

III ადგილისთვის დაძაბული, მწვავე ბრძოლა გაჩაღდა აფხაზეთისა და ქუთაისის კოლექტივთა შორის. აფხაზეთის წარმომადგენლებმა მ. ლექავამ, ი. გელაშვილმა, ი. მატრიონკინამ, ლ. სურმელიანმა და ნ. დროზდოვამ 187,55 ქულა დააგროვეს. მათ 0,95 ქულით აჯობეს ქუთაისელ მეტოქეებს.

პირად შეჯიბრებაში სპორტის ოსტატთა შორის თავი კვლავ ისახელა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა, საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის კანდიდატმა, სპორტის ოსტატმა ლალი დოლიძემ (უფროსი). მრავალჭიდში მისი მაჩვენებელი — 45,45 ქულა — სპორტის ოსტატის ნორმას აღემატებოდა და I ადგილიც მან დაიკავა. II ადგილი უმცროს ლალი დოლიძეს ხვდა — 44,5. III ადგილის მოსაპოვებლად ერთმანეთს დიდი მეტოქეობა გაუწიეს თბილისის წლევანდელი ჩემპიონატის პრიზიორმა გაბაშვილმა, სისაურმა, დოლგოვამ, გოცირიძემ და ყარსიმაშვილმა. მათ ამ შეჯიბრებაში ბევრად უკეთეს შედეგებს მიაღწიეს, ვიდრე თბილისის ჩემპიონატში, მაგრამ მონდომებით ყველას მაინც ყარსიმაშვილმა აჯობა და III ადგილიც მან მოიპოვა — 44,05.

ბურთით, სალტით და ლენტით ვარჯიშში ყველა I ადგილი ისევ უფროსმა დოლიძემ დაიკავა და საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

სპორტის ოსტატობის კანდიდატთა შორის I ადგილი სოხუმელმა მატრიონკინამ დაიკავა — 39,3. თანაგუნდელი დროზდოვა გამარჯვებულს 0,25 ქულით ჩამორჩა. III ადგილზეა თბილისელი ი. სააკაშვილი — 39,0.

ასპარეზობა საქართველოს ტანმოვარჯიშეებისთვის გენერალური რეპეტიცია იყო საკავშირო პირად-გუნდური ჩემპიონატის წინ, რომელიც 29 მაისს თბილისის სპორტის სასახლეში აიღებს სტარტს. საქართველოს ნაკრები გუნდის წევრებმა და მათმა ხელმძღვანელებმა დარჩენილ დროში გულმოდგინედ უნდა იმუშაონ მომავალი შეჯიბრებისთვის სათანადოდ მოსამზადებლად.

ი. იუნაევი.

* * *

სურათებზე: თბილისის პირველი ნაკრები. მარცხნიდან — მ. მორბედაძე, ლ. დოლიძე (უფროსი), მ. ყარსიმაშვილი, ბ. სისაური, ლ. დოლიძე (უმცროსი), ი. გაბაშვილი; საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი ლ. დოლიძე (უფროსი) შეჯიბრების დროს.

ავტორის ფოტოები.

საჩხერელებმა ფინალის საგზურები მოიპოვეს

ამას წინათ მარგანეცის ქალაქის ცენტრალურ სპორტულ დარბაზ „მაღაროელში“ ჩატარდა საქართველოს მოსწავლეთა ზონალური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ლანჩხუთის, ჩოხატაურის, აბაშის, ტყიბულის, საჩხერის რაიონებისა და მასპინძელთა — ჭიათურელ მოსწავლეთა ნაკრები გუნდები.

მეტოქეებს ბევრად სჯობდნენ საჩხერელი ბიჭები და გოგონები, რომლებმაც I ადგილები და ფინალის საგზურები მოიპოვეს.

გ. ბარჩაძე,
სპორტის ოსტატი.
(ჩვენი კორ.).

ჭიათურა.

ოჯახური ტრადიციის გამგრძელებელი

ვლადიმერ გოგიბედაშვილის სახელი კარგადაა ცნობილი ძველი თაობის მოჭიდავეებში. იგი თავის დროზე თვითონ იყო გატაცებული ქართული ჭიდაობით, ხოლო შემდეგ ეროვნული სპორტის პროპაგანდისტი გახდა. გასაკვირი არ არის, რომ ამ ენთუზიასტის ოჯახში შეიყვარა ჭიდაობა ნუგზარ გოგიბედაშვილმა, ვეტერანის ვაჟმა. ნუგზარი თავის დროზე საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავე იყო, სსრ კავშირის ჩემპიონი. ამჟამად იგი სამედიცინო საქმიანობას ეწევა.

მაგრამ ოჯახური ტრადიცია და ჭიდაობის სიყვარული მაინც არ დარღვეულა: ახლა მას წარმატებით აგრძელებს ვლადიმერ გოგიბედაშვილის შვილიშვილი ლევანი. ამას წინათ თბილისის მოსწავლეთა პირველობაში უმცროსი ასაკის მოჭიდავეთა შორის ლევანმა პირველად იზეიმა წარმატება — ყველა მეტოქე დაამარცხა.

აღნიშნული შეჯიბრება, რომელიც „შრომითი რეზერვების“ დარბაზში ჩატარდა, კარგად იყო მოწყობილი, მაგრამ ერთი ნაკლი მაინც უნდა აღვნიშნოთ. ეს გახლავთ გამოცდილ მსაჯთა უკმარობა.

ბოლო დროს რესპუბლიკური პირველობები კარგად ტარდება, მას კვალიფიციური მსაჯები ემსახურებიან. ამდენად, ეს ტურნირები არაფრით ჩამოუვარდება საკავშირო რანგის ასპარეზობებს. საქალაქო შეჯიბრებებში კი მსაჯობის ხარისხი დაბალია, ვინაიდან კვალიფიციური არბიტრები მათს მომსახურებას გაურბიან. არადა, ჭაბუკთა ტურნირებს, როგორც წესი, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ვექცეოდეთ, ვინაიდან ამ ასაკში ყალიბდება მომავალი სპორტსმენების ფსიქიკა.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს: ჯ. გოგსაძე (139-ე სკოლა), გ. ლალიაშვილი (127-ე სკოლა), პ. კაჭახიძე, ვ. ხუციშვილი (ორივე — მე-14 სკოლა), მ. მაისურაძე (მე-7 სკოლა), ა. ჯაშიაშვილი (88-ე სკოლა), მ. სალთხუციშვილი (132-ე სკოლა), ა. ქელეხსაევი (61-ე სკოლა), ბ. ლეკვეიშვილი (48-ე სკოლა), თ. ინაური (მე-2 სკოლა), მ. ციმაკურიძე (მე-7 სკოლა), ზ. ჯოკაევი (მე-14 სკოლა), ლ. გოგიბედაშვილი (მე-18 სკოლა), გ. ირემაშვილი (მე-14 სკოლა), გ. ქიქილაშვილი (მე-100 სკოლა), მ. რევაზიშვილი (22-ე სკოლა).

ო. ზოზიტაშვილი,
სპორტის ოსტატი.

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში 800-ზე მეტი მუშა და მოსამსახურე მისდევს სპორტის სხვადასხვა სახეობას. ფრენბურთის, კალათბურთის, ცურვის, კრივის, ჭიდაობის სექციებში 100-მდე თანრიგოსანი სპორტსმენი მეცადინეობს.

კვირა დღეს ხშირად ქარხნის სტადიონზე და სპორტულ დარბაზებში საამქროთა შეჯიბრებები ტარდება.

* * *

სურათზე: სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ქარხნის სპორტდარბაზში მოკრივეები ვარჯიშობენ.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმი).

ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელებს დიდი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ განვლილი ტურის კალენდარულ მატჩში ალმა-ათის „ქაირათთან“.

* * *

სურათზე: ალმაათელთა მეკარე კ. ორდაბაევი იგერიებს ტორპედოელთა ერთ-ერთ შეტევას.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.

წინ მესამე ეტაპია

საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი მოტოსპორტში სამ ეტაპად ტარდება. გამარჯვებისთვის იბრძვიან საქართველოს დოსააფის სპორტულ-ტექნიკური ავტო-მოტოკლუბის, რუსთავის, სოხუმის, სამტრედიის, თელავის, ბათუმის, ქუთაისის, ზესტაფონისა და მახარაძის ავტოსკოლების, სოხუმის, ბოლნისისა და გარდაბნის სპორტტექნიკური კლუბების წარმომადგენლები. ყოველ გუნდს ხუთი მონაწილე გამოჰყავს.

პირველი ეტაპი სოხუმში გაიმართა. 175 კბ სმ მოცულობისძრავიანი მანქანებით ჭაბუკთა შორის იმარჯვა ნ. ბუკრეევმა, უფროსებში ამავე კლასის მანქანებით რბოლა მოიგო ვ. გალუსტაშვილმა, ხოლო „350-ანებით“ ასპარეზობაში ყველას აჯობა ი. ტერეშჩენკომ (ყველა — რესპუბლიკური სპორტტექნიკური ავტო-მოტოკლუბი). „500-ანებით“ შეჯიბრებაში უძლიერესი გამოდგა რ. კარიბოვი (რუსთავი). გუნდურ ჩათვლაში თბილისელები დაწინაურდნენ — 392 ქულა. II ადგილზე გავიდა რუსთავის კოლექტივი — 367, III — სოხუმის ავტოსკოლის ნაკრები — 328.

მეორე ეტაპის შეჯიბრებას ქუთაისი მასპინძლობდა. ჭაბუკთა შორის იმარჯვა ვ. ფაფაზიანმა (სოხუმის ავტოსკოლა). 175 კბ სმ მოცულობისძრავიანი მანქანებით უფროსთა შეჯიბრებაში ფინიშთან პირველი მივიდა ა. ლებედინსკი (რუსთავი). გალუსტაშვილი ამჯერად მეორე იყო. თბილისელი ა. კლდიაშვილი ძალას ცდიდა „350“-და „500-ანებით“ რბოლაში და ორივეჯერ გაიმარჯვა.

ორი ეტაპის ჯამში ჭაბუკთა შორის წინ არის ნ. ბუკრეევი — 65 ქულა. ვაჟთა შორის კლასების მიხედვით ლიდერობენ: გალუსტაშვილი — 57 ქულა, ვ. სიტნიკი (სამტრედია, 64 ქულა) და ვ. კოვალენკო (რესპუბლიკური სპორტტექნიკური ავტო-მოტოკლუბი, 42).

გუნდურ ჩათვლაში წინაა რესპუბლიკური ავტო-მოტოკლუბი — 761 ქულა. II ადგილზეა სოხუმის ავტოსკოლის კოლექტივი — 600, III — სამტრედიის გუნდი — 567.

ო. კიკნაველიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ჩოგბურთის კორტებზე

ნასტასემ მოუგო რამირესს

დიდი ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო ტურნირმა კარაკასში (ვენესუელა), რომელმაც ბევრი ცნობილი ოსტატს მოუყარა თავი.

ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ რაულ რამირესი (მექსიკა) და ილიე ნასტასე (რუმინეთი). გაიმარჯვა ნასტასემ — 6:3, 6:4.

ყინულის მოედნებზე

თასი მოსკოვის „დინამომ“ მოიგო

8 მაისს ცსკა-ს სპორტის სასახლის ყინულის სარბიელზე გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩი ჰოკეიში. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის გუნდები „დინამო“ და ცსკა.

თამაში უაღრესად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. როგორც ცნობილია, წლეულს არმიელებმა საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონთა წოდება დაკარგეს და ამ დანაკარგის ანაზღაურებას თასის გათამაშებაში შეეცადნენ, მაგრამ ამჯერადაც ხელი მოეცარათ. გაიმარჯვეს დინამოელებმა — 3:2 (0:1, 0:0, 1:0, 2:1).

როგორც ტექნიკური ანგარიშიდან ჩანს, ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა და საჭირო შეიქნა დამატებითი 20-წუთიანი პერიოდის დანიშვნა.

შაიბები გაიტანეს: დინამოელთაგან — ჩეტვერიკოვმა, სევიდოვმა და ბელიალეტდინოვმა; არმიელთაგან — მიხაილოვმა და ხარლამოვმა.

სეზონის ლაურეატები

7 მაისს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის ჰოკეის ფედერაციის სხდომა, რომელმაც დაამტკიცა გასული სეზონის 40 საუკეთესო ჰოკეისტი, აგრეთვე 10 საუკეთესო მსაჯი.

ამ სიებში შევიდნენ: მეკარეები ვასილიონოკი („დინამო“, რიგა), ზინგერი („სპარტაკი“, მოსკოვი), სიდელნიკოვი („კრილია სოვეტოვი“, მოსკოვი), ტრეტიაკი (ცსკა); მცველები ასტაფიევი, ფიოდოროვი (ორივე — „ტორპედო“, გორკი), ბელიალეტდინოვი, ვასილიევი, ვ. ფილიპოვი (ყველა — „დინამო“, მოსკოვი), ბაბინოვი, კრიკუნოვი, ტიურინი, კუზნეცოვი (ყველა — „კრილია სოვეტოვი“), გუსევი, ლუტჩენკო, ციგანკოვი (ყველა — ცსკა), კოროტკოვი, ლიაპკინი (ორივე — „სპარტაკი“); თავდამსხმელები ალექსანდროვი, ვიკულოვი, ჟლუკტოვი, მიხაილოვი, პეტროვი, ხარლამოვი (ყველა—ცსკა), რუდაკოვი, შადრინი, შალიმოვი, იაკუშევი (ყველა — „სპარტაკი“), ანისინი, კაპუსტინი, კოტოვი, ლებედევი (ყველა — „კრილია სოვეტოვი“), ბალდერისი („დინამო“, რიგა), ბელოუსოვი, ევსტიფეევი, პ. პრიროდინი (ყველა — „ტრაქტორი“, ჩელიაბინსკი), ა. გოლიკოვი, ვ. გოლიკოვი (ორივე — „ხიმიკი“, ვოსკრესენსკი), დევიატოვი, მალცევი (ორივე — „დინამო“, მოსკოვი).

საუკეთესოთა ექვსეულში შევიდნენ მეკარე ტრეტიაკი, მცველები ვასილიევი, ლუტჩენკო, თავდამსხმელები შალიმოვი, ხარლამოვი და იაკუშევი.

საუკეთესო მსაჯთა ათეულში არიან: დომბროვსკი (ჩელიაბინსკი), კარანდინი (ნოვოსიბირსკი), ზახაროვი, ნიკულცევი, სოროკინი (ყველა — მოსკოვი), გუშჩინი (სვერდლოვსკი), საპრიკინი (ჩელიაბინსკი), კუზნეცოვი (ლენინგრადი), ულიანოვი (მინსკი), გურიშევი (მოსკოვი).

„გოლის“ ანკეტის მიხედვით

როგორც პრაღიდან გვაცნობეს, ადგილობრივმა ყოველკვირეულმა „გოლმა“ ჩაატარა ტრადიციული ანკეტა, რომლის შედეგებიც ასეთია: I ადგილი და „ოქროს ყვანჯის“ პრიზი ზედიზედ მესამედ, საერთოდ კი მეოთხედ მოიპოვა პარდუბიცეს „ტესლის“ და ჩეხოსლოვაკიის ნაკრების თავდამსხმელმა, ახლახან დამთავრებული მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ვ. მარტინეცმა, რომელმაც 908 ქულა მოაგროვა. II ადგილზეა პრაღის „სპარტის“ და ეროვნული ნაკრების მეკარე ი. ჰოლეჩეკი — 840 ქულა (ჰოლეჩეკი კატოვიცეში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ აღიარეს).

დასახელებულია საუკეთესო ექვსეულიც: მეკარე ჰოლეჩეკი, მცველები ბუბლა — პოსპიშილი, თავდამსხმელები მარტინეცი — ნოვი — ი. ჰოლიკი.

ბადმინტონის ბადესთან

ამას წინათ ბათუმში გაიმართა ქალაქის ფიზკულტურის კოლექტივების პირად-გუნდური პირველობა ბადმინტონში. სარბიელზე 11 კოლექტივი გამოვიდა.

გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა პედაგოგიური ინსტიტუტის ნაკრებმა, რომელმაც ფინალში ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის წარმომადგენლებს სძლია. მესამე იყო ინდუსტრიული ტექნიკუმის გუნდი.

ქალთა შორის პირად ჩათვლაში იმარჯვა ნ. ჯაიანმა, ვაჟებში კი უძლიერესის სახელი მოიპოვა მ. ხარჩილავამ (ორივე — პედინსტიტუტი).

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

ფეხბურთი

დაიწყო დასკვნითი თამაშები

დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის საქართველოს ზონის გათამაშება. უკვე დაიწყო გადამწყვეტი, დასკვნითი ეტაპის მატჩები, სადაც უნდა გამოვლინდნენ საკავშირო ნახევარფინალური შეჯიბრების მონაწილენი. საგზურებისთვის იბრძვიან „დინამო“, განათლების განყოფილება, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა, „ავაზა“, „სპორტინტერნატი“ და „განთიადი“ (ყველა — თბილისი), რომლებმაც ეს უფლება მოიპოვეს აღმოსავლეთ ზონაში. დასავლეთ ზონიდან დასკვნით ეტაპზე თამაშობენ სოხუმის „დინამო“, ბათუმის „დინამო,“ გაგრის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა, ბათუმისა და ქუთაისის განათლების განყოფილების გუნდები და ქუთაისის „ტორპედო“.

ბრძოლა ზონებში დაძაბული იყო, მაგრამ ისევ და ისევ გვიხდება ლაპარაკი მოთამაშეთა მხრივ წესრიგის დარღვევაზე და ცალკეულ უდისციპლინო შემთხვევებზე. ამაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ზუგდიდის „დინამოს“ ჭაბუკმა ფეხბურთელებმა, რომელთა რიცხვიდან მეტოქის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს მ. ფიფია, ხოლო ა. ალანიას, მ. შედანიას და მ. ანთიას გაფრთხილება მიეცათ.

მინდვრიდან გააძევეს სამტრედიის „ლოკომოტივის“ წევრი ა. ვაშაკიძე, გაფრთხილება მიეცათ მის თანაგუნდელებს დ. კოხრეიძესა და მ. გარნოვსკის.

წესრიგის დარღვევის შემთხვევები იყო ბათუმის „დინამოსა“ და განათლების განყოფილების, გაგრის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის, მახარაძის „მერცხლის“, ქუთაისის „ტორპედოსა“ და ქუთაისის განათლების განყოფილების გუნდებში.

საგანგებო აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია გორის „დილაში“ მომხდარი უდისციპლინობები. მაგალითად, დ. შუბითიძემ ჯერ გაფრთხილება მიიღო, ხოლო შემდეგ მინდვრიდან გააძევეს. გაფრთხილება მიეცათ ა. ჩეჩელაშვილს და დ. კაზარაშვილს.

ყველაფერი ეს უფლებას გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ნორჩ ფეხბურთელებთან მომუშავე ჩვენი მწვრთნელები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პოლიტაღმზრდელობით მუშაობას, არ ზრუნავენ იმისთვის, რომ სპორტსმენთა რიგებიდან აღზარდონ სრულყოფილი საბჭოთა მოქალაქეები. ამას გარდა, გუნდების ხელმძღვანელებმა ყურადღება უნდა მიაქციონ მოთამაშეთა წესიერ ჩაცმულობას და ვარცხნილობას. ყველაფერი ეს სპორტსმენის საერთო აღზრდის მნიშვნელოვანი საკითხებია.

ა. ბოჯორაძე,
რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს რეზერვების მომზადების განყოფილების უფროსი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

* * *

საგოლოო ცხრილები

აღმოსავლეთ ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ თბ.	9	6	2	1	17—5	14
გან. განყ. თბ.	9	5	3	1	15—8	13
ახ. საფ. სკ. თბ.	9	4	4	1	14—8	12
„ავაზა“ თბ.	9	4	2	3	8—9	10
„სპორტინტ.“ თბ.	9	3	3	3	14—12	9
„განთიადი“ თბ.	9	2	4	3	5—7	8
ახ. საფ. სკ. თელ.	9	3	2	4	6—11	8
„მეტალურგი“ რ.	9	1	5	3	5—12	7
„დილა“ გორი	9	2	1	6	9—13	5
მწვრ. სკოლა თბ.	9	1	2	6	13—21	4

დასავლეთ ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ სოხ.	10	7	2	1	17—8	16
„დინამო“ ბთ.	10	6	3	1	13—5	15
ახ. საფ. სკ. გ.	10	5	2	3	11—12	12
„ტორპედო“ ქ.	10	5	1	4	19—11	11
გან. განყ. ბათ.	10	5	1	4	14—10	11
გან. განყ. ქუთ.	10	4	2	4	10—9	10
„დინამო“ ზ.	10	3	3	4	11—14	9
„ლოკომ.“ სამ.	10	2	5	3	10—15	9
„გურია“ ლანჩ.	10	3	2	5	12—14	8
„მაღარ.“ ჭ.	10	4	0	6	14—23	8
„მერცხალი“ მ.	10	0	1	9	12—22	1

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ერთადერთი გოლი

ლოზანაში გაიმართა ამხანაგური მატჩი შვეიცარიისა და უნგრეთის ნაკრებ გუნდებს შორის. პირველ ტაიმში უნგრელებმა შეძლეს გოლის გატანა, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 1:0.

მაროკო — აფრიკის ჩემპიონი

ადის-აბებაში გაიმართა აფრიკის ჩემპიონატის დასკვნითი ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მაროკოს, გვინეის, ნიგერიისა და ეგვიპტის ნაკრები გუნდები.

ტურნირი კარგად წარმართეს მაროკოელებმა. მათ ეგვიპტელებს და ნიგერიელებს მოუგეს ერთნაირი ანგარიშით — 2:1, გვინეელებთან ფრედ (1:1) ითამაშეს და 6 შესაძლებლიდან 5 ქულით აფრიკის ჩემპიონობა მოიპოვეს.

გვინეელებმა ტურნირი 4 ქულით დაამთავრეს, ნიგერიელებს 3 ქულა აქვთ, ეგვიპტელებმა კი ყველა შეხვედრა წააგეს.

რივა აღარ ითამაშებს

ცნობილმა იტალიელმა თავდამსხმელმა რივამ გადაწყვიტა დაასრულოს თავისი საფეხბურთო კარიერა. იგი მძიმედ დაშავდა და ექიმები განკურნების შემდეგ ფორმის აღდგენის იმედს არ აძლევენ.

ახლა რივა დანიშნულია „კალიარის“ ტექნიკურ მრჩევლად და ამ კლუბის ახალგაზრდა ფეხბურთელებთან იმუშავებს.

კუბალა გუნდში რჩება

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა კუბალამ, რომელიც გუნდს უკვე ექვსი წელია სათავეში უდგას, კიდევ ორი წლით გააგრძელა ხელშეკრულება. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ნაკრებს უხელმძღვანელებს მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატის დამთავრებამდე.

ზოგ მიმომხილველს მიაჩნდა, რომ კუბალა ნაკრებთან მუშაობას შეწყვეტდა ფინანსური თვალსაზრისით, ვინაიდან უკეთესი წინადადებები ჰქონდა მიღებული „ბარსელონისა“ და „ვალენსიისგან“.

მრისხანე გერდ მიულერი

გ. მიულერმა (გფრ), რომელმაც დაიბრუნა სპორტული ფორმა და კვლავინდებურად მრისხანე ბომბარდირად იქცა, სტატისტიკოსების ცნობით, ევროპის სამ ძირითად ტურნირში 58 ბურთი გაიტანა, აქედან — 31 ჩემპიონთა, 20 — თასების მფლობელთა და 7 — უეფა-ს თასების გათამაშებაში.

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)
ფეხბურთი
სსრ კავშირის ჩემპიონატი
14 მაისს
„დინამო“ (თბილისი) — „კარპატი“ (ლვოვი)
დასაწყისი 19 ს.
ბილეთები წინასწარ გაიყიდება ორგანიზაციებში დღეს, საერთო გაყიდვა — 13-14 მაისს სტადიონის სალაროებში 10 საათიდან.



ტურნირებით
კალათბურთი

გამარჯვება, რომელსაც დიდი ფასი აქვს

როგორც ვიუწყებოდით, ლოძში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში წარმატებით იასპარეზა თბილისის „დინამოს" კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა. მან I ადგილი დაიკავა.

საბჭოთა კალათბურთელების (თბილისის „დინამო", კაუნასის „ჟალგირისი") გარდა, ტურნირში გამოდიოდნენ ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, იუგოსლავიისა და ადგილობრივი გუნდები. მონაწილენი დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. ჯგუფებში I-II ადგილებზე გასული კოლექტივები ქმნიდნენ ფინალისტთა ოთხეულს, რომელსაც უნდა გაეთამაშებინა საპრიზო ადგილები.

თბილისის დინამოელებთან ერთად ჯგუფში ასპარეზობდნენ ლოძის ლკს, კატოვიცეს „სლავია" და რიეკის (იუგოსლავია) „კვარნერი". პირველი შეხვედრა ქართველმა კალათბურთელებმა მოუგეს ლკს-ს — 76:62 (33:37), შემდეგ დაამარცხეს „სლავია" — 84:61 (44:31) და ბოლოს — „კვარნერი" — 81:80 (36:44).

მეორე ჯგუფში, სადაც გამოდიოდნენ ოსტრავის ნხკგ, კაუნასის „ჟალგირისი", ვარნის „აკადემიკი" და პოლონეთის ახალგაზრდული ნაკრები, წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენებმა. ამიტომაც ფინალურ ოთხეულში თბილისის გუნდი სწორედ მათ შეხვდა.

„დინამომ" ჯერ დაამარცხა ოსტრავის გუნდი — 61:50 (39:27), მერე კი გადამწყვეტ შეხვედრაში კაუნასის „ჟალგირისს" სძლია — 84:69 (49:37).

განსაკუთრებით ყურადსაღებია ეს ბოლო გამარჯვება, ვინაიდან ლიტველი კალათბურთელები ამ ტურნირში უძლიერესი შემადგენლობით ასპარეზობდნენ, თბილისელებს კი აკლდათ რამდენიმე მოწინავე მოთამაშე. მ. ქორქია სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაშია და ამჟამად იუგოსლავიაში გახლავთ, სსრ კავშირის ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრებ კოლექტივებში თამაშობენ ნ. დერიუგინი და რ. გარუჩავა. სხვადასხვა მიზეზით ვერ წავიდნენ პოლონეთში გ. ბიჭიაშვილი, ლ. ჩხიკვაძე და ზ. ქარაბაკი, ხოლო ზ. საკანდელიძესა და ნ. ქორქიას ავადმყოფობის გამო არ უთამაშიათ.

როგორც ხედავთ, „დინამოს" აკლდა მოწინავე მოთამაშეთა მთელი ჯგუფი, მაგრამ ტურნირში I ადგილი დაიკავა. ეს დიდი წარმატება და გუნდის დანარჩენ წევრთა მტკიცე ხასიათისა და თავგანწირვის შესანიშნავი მაგალითია.

II ადგილი „ჟალგირისმა" დაიკავა, ხოლო III — ლკს-მა.

ასპარეზობის შემდეგ მსაჯთა კოლეგიამ გაანაწილა რამდენიმე ინდივიდუალური პრიზი. ყველაზე შედეგიანი მოთამაშისთვის განკუთვნილი ჯილდო მიიღო ი. პულავსკიმ, ხოლო ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულია თ. ჩიხლაძე. იყო კიდევ ერთი პრიზი საუკეთესო მსაჯისთვის, რომელიც ასევე ჩვენს თანამემამულეს—თბილისელ რ. გოგელიას გადაეცა.

თ. ჯოგაავა.

* * *

სურათებზე: ზევით, მარცხნივ — **საუკეთესო ბომბარდირი ი. პულავსკი ცდილობს თავი დააღწიოს მეტოქეთა გარემოცვას;** მარჯვნივ — **შეტევაზეა ვ. ჯგერენაია;** ქვევით — **ორგანიზატორები სპეციალურ პრიზს გადასცემენ თ. ჩიხლაძეს, როგორც ტურნირის საუკეთესო მოთამაშეს.**

ბოლო რეპეტიცია...

ვარშავა. (საქდესი). ბოსტონის, ათენისა და ფუკუოკის ტრადიციულ მარათონულ შეჯიბრებებთან ერთად 1976 წლის სეზონის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ასპარეზობა იქნება პოლონეთის ღია ჩემპიონატი მარათონულ რბენაში, რომელიც 16 მაისს მოეწყობა დებნოში. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი 17 ქვეყნის 54 მორბენალმა გამოთქვა. განაცხადები უკვე გამოგზავნეს ავსტრალიამ, ბელგიამ, უნგრეთმა, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, დანიამ, ინდოეთმა, ერაყმა, კუბამ, მექსიკამ, ჰოლანდიამ, ნორვეგიამ, რუმინეთმა, სსრ კავშირმა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, ჩეხოსლოვაკიამ, შვეიცარიამ და იუგოსლავიამ.

მარათონელთა უმეტესობისთვის ეს იქნება ბოლო გამოსვლა ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე.

VII - XII ადგილებისთვის

ფრენბურთი

ამას წინათ დამთავრდა „ა" კლასის I ლიგის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობა. თბილისის „ბურევესტნიკს" დარჩენილი ოთხი შეხვედრა სტუმრად — ფრუნზესა და ტაშკენტში უნდა ჩაეტარებინა. პირველი ორი მატჩი მას ყირგიზეთის დედაქალაქში ჰქონდა ადგილობრივი სახლსაშენებელი კომბინატის (სკ) გუნდთან. პირველი შეხვედრა თბილისელმა სპორტსმენებმა შედარებით იოლად მოიგეს — 3:0 (15:8, 15:10, 15:12). სამაგიეროდ, მასპინძლებმა მეორე დღეს რევანში აიღეს მეტად დაძაბულ მატჩში — 3:2 (15:8, 9:15, 17:15, 9:15, 15:13).

დასკვნით ორ მატჩში თბილისის „ბურევესტნიკი" ტაშკენტის „დინამოს" ძლიერ და გამოცდილ კოლექტივს შეხვდა. თბილისელებმა დიდი ალმავლობით ითამაშეს და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს: პირველი მატჩი მოიგეს ანგარიშით 3:0 (15:11, 15:10, 15:5), ხოლო მეორე — 3:1 (1:15, 15:7, 16:14, 15:11).

ამ შეხვედრების შემდეგ „ბურევესტნიკმა" 10 ქულა დააგროვა და ფინალურ ექვსეულში მოხვედრის იმედი გაუჩნდა. ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ ბაქოს არმიელთა გუნდი ორიდან ერთ შეხვედრას მაინც მოიგებდა ტაშკენტში. მაგრამ ასე არ მოხდა. უზბეკეთის სპორტსმენებმა ორივე შეხვედრაში იმარჯვეს, 11 ქულა დააგროვეს და ქულით გაუსწრეს თბილისელებს.

ახლა თბილისის „ბურევესტნიკი" ბაქოში თამაშობს VII-XII ადგილებისთვის.

ლ. კნოლეველი.

ზეიმი ჭადრაკის სასახლეში

9 მაისს თბილისის ჭადრაკის სასახლეში ტრადიციულად გამარჯვების დღეს მიეძღვნა ერთდროული თამაშის დიდი სეანსი. ჭადრაკის მოყვარულები შეხვდნენ 12 ცნობილ მოჭადრაკეს.

ყველაზე ძლიერი მეტოქეები ჰყავდა მსოფლიო ჩემპიონს, დიდოსტატ ნ. გაფრინდაშვილს, რომელმაც სეანსი 20 დაფაზე გამართა. მოჭადრაკე ქალმა 12 პარტია მოიგო, ორი წააგო (ა. შამოევთან, დ. სახოკიასთან) და 6 ყაიმით დაამთავრა.

სეანსი წარმატებით ჩაატარეს დიდოსტატებმა ბ. გურგენიძემ და ე. გუფელდმა (თითოეულმა — 20 დაფაზე: + 18=2), ოსტატმა დ. ჯანოევმა (17 დაფაზე: + 17), ოსტატმა ე. უბილავამ და ოსტატობის კანდიდატმა ქ. არნშტეინმა (თითოეულმა — 16 დაფაზე: + 16).

სეანსი გამართეს, აგრეთვე, ოსტატებმა მ. შიშოვმა, გ. ზაიჩიკმა, ვ. იზვოზჩიკოვმა, ოსტატობის კანდიდატებმა ზ. სტურუამ, გ. კალატოზიშვილმა და ო. თურქესტანიშვილმა.

სეანსის მონაწილეთაგან თავი ისახელეს ნორჩმა თბილისელმა მოსწავლეებმა: რ. კაკაბაძემ (134-ე სკოლა, ყაიმი გურგენიძესთან), ლია დიდმელაშვილმა (62-ე სკოლა, ყაიმი გუფელდთან), კ. ჯაჭვაძემ (51-ე სკოლა, ყაიმი გუფელდთან), ზ. ჟორჟოლიანმა (31-ე სკოლა), რ. აივაზიანმა (74-ე სკოლა), ტ. ხანუკაევმა (67-ე სკოლა. სამივემ თურქესტანიშვილს მოუგო).

გ. ნოზაძე.

ბრწყინვალე რევანში

ვაჟთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში. V ტური შედეგიანობით სარეკორდო გამოდგა: რვა შეხვედრიდან მხოლოდ ერთი დამთავრდა ყაიმით და ისიც დაძაბული ბრძოლის შემდეგ. მ. ჩიბურდანიძე და მ. ჭიპაშვილი დაზავდნენ.

დ. ჯანოევმა მშვენივრად ისარგებლა გ. კალატოზიშვილის ზედმეტად აზარტული თამაშით და უკვე 22-ე სვლაზე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

ე. უბილავას გ. სიხარულიძესთან მოგებისთვის 32 სვლა დასჭირდა.

ი. ჩიქოვანი საქართველოს შარშანდელ ჩემპიონ ზ. სტურუასთან შეხვედრაში ძალიან ცდილობდა რევანში აეღო „განთიადის" პირველობაში წაგებისთვის. მან საწადელს მიაღწია და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

გ. ზაიჩიკმა მოუგო ვ. ვეფხვიშვილს, გ. ცქიტიშვილმა პირველი მარცხი აგემა გ. გრძელიშვილს. ორი პარტია გადაიდო: გ. მოგირაძე — გ. მაჭარაშვილისა და დ. გედევანიშვილი — რ. კაპანაძის შეხვედრებში უპირატესობა პირველთა მხარეზეა.

ვეფხვიშვილმა გაუთამაშებლად დათმო უბილავასთან IV ტურიდან გადადებული პარტია.

5 ტურის შემდეგ უბილავას 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ჯანოევმა 3,5 ქულა მოაგროვა. 3-3 ქულა აქვთ ზაიჩიკსა და ცქიტიშვილს.

ნ. სოროკინი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
სპორტის ოსტატი.

ნ. გაფრინდაშვილი ყირგიზეთს გაემგზავრა

შარშან მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილი — ნ. ალექსანდრიას მატჩის დამთავრებისას თბილისში ჩამოვიდა ყირგიზეთის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ა. მურადბეკოვი. მან ყირგიზეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის სპორტკომიტეტის დავალებით 1976 წლის გაზაფხულისთვის ყირგიზეთში მიიწვია მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, დიდოსტატი ნ. გაფრინდაშვილი. მოჭადრაკე ქალმა მიწვევა მიიღო.

და აი, გუშინ ნ. გაფრინდაშვილი ყირგიზეთს გაფრინდა.

მოძმე რესპუბლიკაში მსოფლიო ჩემპიონი შეხვდება მუშებს, კოლმეურნეებს, მოსწავლე ახალგაზრდობას, ფრუნზეში, ოშში და სხვა ქალაქებში გამართავს ერთდროული თამაშის სეანსებს, ეწვევა ნურეკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს, ისიკ-ყულის ტბის თევზის სარეწებს და სხვ.

ნ. გაფრინდაშვილი ყირგიზეთში ათ დღეს დაჰყოფს.

დიდი მიზნები

„ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანია გავუსწრო ყველა ცნობილ სპორტსმენს და მსოფლიოში ყველაზე სწრაფი მორბენლის სახელი მოვიპოვო", — ამბობს 14 წლის ავსტრალიელი მოსწავლე დები უელსი. ახალგაზრდობას ახასიათებს ასეთი კატეგორიულობა, მაგრამ დების ამგვარი თამამი განცხადებისთვის საფუძველი მართლაც აქვს. 14 წლის სპორტსმენს უკვე ეკუთვნის მსოფლიო რეკორდები სპრინტში გოგონებისთვის (11,3 და 22,8).

სულ რაღაც სამიოდე თვის წინათ დების შესახებ არაფერი იცოდნენ მისი მშობლიური ქალაქის ემავილის ფარგლებს მიღმა. ახლა კი, მას შემდეგ, რაც დები უელსი ეროვნული პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა ორივე სპრინტერულ დისტანციაზე და „მწვანე კონტინენტის" მძლეოსანთა ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაში ჩარიცხეს, პრესა მას „ოქროს გოგონას" და ბეტი კატბერტის მემკვიდრეს უწოდებს. კატბერტმა, როგორც ცნობილია, 20 წლის წინათ მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში სპრინტში სამი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა.

რამდენად სერიოზული და საფუძვლიანია ეს შედარება? ამას ყველაზე უკეთ თვით ბეტი კატბერტი განსჯის. „დების საუცხოო მონაცემები აქვს იმისთვის, რომ მსოფლიოში უსწრაფესი მორბენლის სახელი მოიპოვოს, — ამბობს სახელგანთქმული ჩემპიონი. — შეიძლება მან სულ ცოტა ხანში დაიმსახუროს უმაღლესი წოდება. მე ყურადღებით ვაკვირდებოდი მის გამოსვლას ქვეყნის ჩემპიონატში და მომეწონა, რომ სარბენი ბილიკის დიდოსტატებთან ბრძოლაშიც კი იგი არ ღალატობდა თავის თავს, არ კრთოდა ავტორიტეტთა წინაშე".

სიდნეელი მწვრთნელი კენ სტიუარტი, რომელიც ორი წელია ხელმძღვანელობს დების მზადებას, ეთანხმება კატბერტის აზრს. „მას საუცხოო პერსპექტივები აქვს — ძალიან ნიჭიერია და, რაც მთავარია, მთელი არსებით ეძლევა სპორტს. დაძაბულ მომენტებში მას შეუძლია საჭირო გადაწყვეტილება მიიღოს. მეტოქეთა სახელი და ავტორიტეტი ვერ აშინებს. სტარტზე გამოსული მუდამ საბრძოლველადაა მზად — თუ ახლა ვერ მოვიგე, გაისად უთუოდ გავიმარჯვებ".

ერთი შეხედვით დები ჩუმი, მოკრძალებული პროვინციელი გოგონაა, მაგრამ სინამდვილეში არც მორცხვია და არც მოუქნელი. მას უკვე ბევრჯერ დასჭირდა ხასიათის სიმტკიცის გამოვლენა, ოჯახში — დების ორი უფროსი ძმა და სამი და ჰყავს — არც მაინცდამაინც დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ სპორტით მის გატაცებას, არც ხელს უწყობდნენ.

დები ძალიან მოძრავი ბავშვი იყო, იგი ხშირად სთხოვდა მამას სანადიროდ წამიყვანეო და იქ, ბუნების წიაღში, მხიარულად დარბოდა, დასდევდა ბაჭიებს. 12 წლის რომ გახდა, სერიოზულად გაიტაცა რბენამ და პატარა ფეხბურთის მინდორზე დამოუკიდებლად ვარჯიში დაიწყო. ერთი წლის შემდეგ დები პირველად მოხვდა დიდ ქალაქში — სიდნეიში, სადაც სასკოლო შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა.

დები სარბენ ბილიკზე დიდ ნებისყოფას და სიმტკიცეს იჩენს, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში სიმპათიური, მოღიმარი, მხიარული გოგონაა და ჩუმ-ჩუმად აღმერთებს... ნაყინს.

ახლა დიდი მიზნებითა და ოცნებებით შეპყრობილი დები უელსი ოლიმპიური სტარტისთვის ემზადება.

ტ. კოზლოვა.
(საქდესის კორ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 08835